

1. ჩანაცვლების გზით შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია:

1.1. შესყიდვის ობიექტია: სასწრაფო დახმარების 6 (ექვსი) ერთეული სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება.

1.2 შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი:

№	შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლები	სასწრაფო დახმარების ავტომობილი 4x2
	რაოდენობა	6
1	ავტომობილის გამოშვების წელი (ექსპლუატაციაში არ მყოფი, კილომეტრაჟი არაუმეტეს 100 კმ. გარდა საქართველოს ტერიტორიაზე საჭირო გარბენისა)	2017 წ.
2	ავტომობილის ძარის ტიპი	ერთიანი ძარი
3	ავტომობილის ფერი	თეთრი
4	საჭის განლაგება	მარცხენა, რეგულირებადი
5	საჭის ჰიდრო ან ელექტრო გამაძლიერებელი	კომპლექტი
6	ABS სისტემა	კომპლექტი
7	დამცავი ბალიში (აირბაგი) მძღოლის კაბინაში	2 ან მეტი
8	ძრავის მოცულობა და სიმძლავრე	არანაკლებ 2198 სმ ³ და არანაკლებ 120 ცხენის ძალა
9	საწვავის ტიპი	დიზელი
10	გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
11	ESP ან ESC	ან მსგავსი სისტემა
12	აუდიო სისტემა	მინიმუმ რადიო
13	ცენტრალური საკეტი	კომპლექტი
14	კარების ჩაკეტვა-გახსნა შიგნიდან გასაღების გარეშე	კომპლექტი
15	კარების ჩაკეტვა-გახსნა გარედან გასაღებით	კომპლექტი
16	მინების ჩაწევა-აწევა ელექტრო მართვით	მინიმუმ წინა ორი
17	უკანა სალონის მაქსიმალური სიგრძე	არანაკლებ 2350მმ
18	უკანა სალონის მაქსიმალური სიგანე	არანაკლებ 1500 მმ
19	უკანა სალონის მაქსიმალური სიმაღლე	არანაკლებ 1600 მმ
20	გვერდითა კარი პაციენტის კაბინაში (მდებარეობა საჭის საპირისპირო მხარეს)	ლიობის ზომა არანაკლებ 800 მმ.
21	უკანა კარის მაქსიმალური სიმაღლე	არანაკლებ 1500 მმ
22	უკანა კარის ლიობის მაქსიმალური სიგანე	არანაკლებ 1230 მმ
23	უკანა კარის ტიპი	გვერდზე გასახსნელი, ასახდელი ან ორ ფრთიანი
24	პაციენტის კაბინის ყოველ კარზე გათვალისწინებული უნდა იყოს დამჭერი მოწყობილობა, კარის თვითნებურად დახურვის თავიდან ასაცილებლად.	კომპლექტი
25	სათადარიგო საბურავი	სრული ზომის სათადარიგო საბურავი
26	მანქანა უნდა იყოს აღჭურვილი 2 აკუმლატორით	კომპლექტი
	საიმობილიზაციო საშუალებები	
27	უნივერსალური გასაშლელი საკაცე, ბორბლებზე, პაციენტის ღვედით (მინ. სიგრძე (ლეიბის) - არანაკლებ 1.8 მ., გათვლილი არანაკლებ 150 კგ. წონაზე, საკაცის მაქსიმალური წონა - 40 კგ.).	1

28	საკაცის საკეტი, საფიქსაციო კომპლექტი	კომპლექტი
29	სათადარიგო საკაცე (დასაკეცი) კომფორტულად დამაგრებული, მოხსნა დამაგრებამ არ შეუქმნას დისკომფორტი პაციენტს.	1
30	საიმობილიზაციო ფარი (პაციენტის ღვედების მინიმუმ 3 კომპლექტით) მინიმალური სიგრძე 1,7 მ. - დამაგრებული ისე რომ მისი ჩამოღება დისკომფორტს არ უქმნიდეს ავადმყოფს.	1
	სამედიცინო აპარატურა და მასალები	
31	ჟანგბადის გაყვანილობა	კომპლექტი
32	ჟანგბადის ბალონი, საფიქსაციო კომპლექტით და რედუქტორით (თითოეულის მოცულობა 10,0 ლ.)	2
33	ჟანგბადის წნევის რეგულატორი	2
	დიზაინი	
34	სალონის თბოიზოლაცია	კომპლექტი
35	წინა და უკანა სალონების გათბობა/გაგრილების სისტემა	კომპლექტი
36	კარადები-სხვა და სხვა სათავსოებით და სამაგრებით, გამოსახსნელი მყარი მასალით, საკაცის ზემოთ, გვერდზე გასაწევი კარით (კარადის სიღრმე არანაკლებ 20 სმ)	კომპლექტი
37	მძლოლისა და პაციენტის კაბინის გამყოფი ტიხარის ქვედა ნაწილი უნდა იყოს მყარი კონსტრუქციის, ხოლო ზედა ნაწილში არანაკლებ 40x20 სმ (სიგრძე - სიმაღლე) სიმაღლის გასახსნელი სარკმელი (დამზადებული ორგანული მინის გვერდზე გაწევის ფუნქციით)	კომპლექტი
38	სახელური პაციენტის განყოფილების ზედა ნაწილში (მყარი კონსტრუქციის)	კომპლექტი (არანაკლებ 170 სმ)
39	ეკიმის მოძრავი სავარძელი (უსაფრთხოების სამწერტილიანი ღვედით) უკანა სალონის შუა ან წინა ნაწილში (განლაგება შემსყიდველთან შეთანხმებით)	1
40	სათადარიგო ასაკეცი სავარძელი, უსაფრთხოების ღვედით. უკანა სალონის შუა ან წინა ნაწილში (განლაგება შემსყიდველთან შეთანხმებით)	1
41	იატაკის (ანტიბაქტერიული) წყალმდეგი იზოლაცია	კომპლექტი
42	ჭერის და კედლების საფარი (თბო, ხმაურისა და წყალმდეგი იზოლაცია)	კომპლექტი
43	ცეცხლმაქრი (ავტომანქანის)	1
44	უკანა სალონის მინა ნახევრად გამჭვირვალე საფარით (უკანა სალონის არანაკლებ 1 სარკმელი, გალების ფუნქციით)	კომპლექტი
45	უკანა კარი მინით, ნახევრად გამჭვირვალე საფარით	კომპლექტი
46	გადასხმის სისტემის საკიდი, ჭერის.	კომპლექტი
47	ადგილების რაოდენობა წინა სალონში (მძლოლის ჩათვლით)	არანაკლებ 2
	ელექტრო დანადგარები, ელექტრო სისტემა	
48	სასიგნალო ციმციმა (LED ტექნოლოგიით) დიოდური ლურჯი დიოდურ მატრიცაში. დიოდის სიმძლავრე არანაკლებ 1W, ჰერმეტიკული შესრულების მატრიცით, შუქდიოდების მართვის პულტით. ციმციმების განლაგება (შემსყიდველთან შეთანხმებით) სახურავზე განივად დამონტაჟებული, ასევე - ავტომობილის წინ - რადიატორთან (2 ლურჯი და 2 თეთრი ნათებით), გვერდებზე - თითოეულზე ერთი ლურჯი და ერთი თეთრი ნათებით (ორივე გვერდზე ჯამში ოთხი ცალი), უკანა ნაწილზე ორი ლურჯი ნათებით . ავტომანქანის სახურავზე დამაგრებული ციმციმა, დიოდების რაოდენობა არანაკლებ 120, თანაბრად განაწილებული წინა და უკანა მხარეს, გვერდითა მაშუქით.	1 (სამაგრი კომპლექტი გათვლილი ავტომობილის ზომაზე)

49	სირენა (ხმოვანა გამაძლიერებელი) არანაკლებ 150 ვატი/12 ვოლტი. უქმი სვლის რეჟიმში გამომავალი სიმძლავრე არანაკლებ 115 დეციბელი, ხმამაღლა მოსაუბრე „დინამიკი“ წინაღობით არანაკლებ 6 ომისა ჰერმეტიკული შესრულებით, ხმოვანას არანაკლებ ექვსი სტანდარტული რეჟიმით, კვების წყარო 12 ვოლტი მუდმივი დენით. ხმოვანას ხმამაღლა მოსაუბრე „დინამიკი“ წინაღობით არანაკლებ 6 ომისა, სიმძლავრე არანაკლებ 150 ვატი. ხმოვანა-გამაძლიერებელი ხმამაღლა მოსაუბრეთი „დინამიკით“ სიმძლავრე არანაკლებ 150 ვატი, არანაკლებ 115 დეციბელი, დენის წყარო 12 ვოლტი. ხმოვანას ხმამაღლა მოსაუბრე „დინამიკი“ წინაღობით არანაკლებ 6 ომისა, სიმძლავრე არანაკლებ 150 ვატი. ხმოვანა-გამაძლიერებელი ხმამაღლა მოსაუბრეთი „დინამიკით“ სიმძლავრე არანაკლებ 150 ვატი, არანაკლებ 115 დეციბელი, დენის წყარო 12 ვოლტი.	კომპლექტი
50	სასწრაფო დახმარების შესაბამისი ჭერის განათება თეთრი ნათებით (შესაძლებელი იყოს პაციენტის სასიცოცხლო ნიშნების: კანის ფერი, გუგის რეფლექსი და ა. შ. მონიტორინგი)	კომპლექტი
51	წერტილოვანი განათება, ჭერში (საკაცისთვის)	არანაკლებ 2
52	12-220 ძაბვის ინვენტორი (არანაკლებ 1,2 KWT)	კომპლექტი
53	უკანა სვლის პროექტორი	1
54	როზეტი 220 ვოლტის	2
55	როზეტი 12 ვოლტის	2
56	უკანა სალონის ვენტილაცია (ელ. გამწოვი)	კომპლექტი
57	ავტომატის მთლიანი სიგრძე არაუმეტეს 5413მმ, სიგანე სარკეების და სახელურების გარეშე არაუმეტეს 2050მმ, სიმაღლე არაუმეტეს 2524მმ.	

- ავტომობილზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო დახმარების ავტომობილის განმასხვავებელი წარწერა/სიმბოლიკა, შეფუთვა, რომელიც წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. ფერი ან საღებავი, რომლითაც დატანილი იქნება სასწრაფოს სიმბოლიკა უნდა შეიცავდეს მაღალი ხარისხის სინათლის ამრეკლ ელემენტებს.

- სათადარიგო საბურავი და სხვა მოწყობილობები დამონტაჟებული უნდა იყოს პაციენტის სალონის გარეთ, ისე რომ საჭიროების შემთხვევაში მათთან მიდგომა და ამოღება-ჩადება დისკომფორტს არ უქმნიდეს პაციენტს.

- ყველა კარადა უნდა იყოს მიხრახნული ერთმანეთზე და სრულად დამაგრებული, რათა შეამციროს ხმაური და უზრუნველყოს შეუფერხებელი გამოყენება. ყველა კარადა დამაგრებული უნდა იყოს იატაკზე ან კორპუსზე, რათა შესაძლებელი იყოს მათი მოხსნა იმ შემთხვევაში, თუ ძარის/ძრავის სამუშაოები გახდება საჭირო. კარადები უნდა იყოს საკმარისი ზომის და კონფიგურაციის, რათა უზრუნველყოს ყოველგვარი აუცილებელი აღჭურვილობის შენახვა. კარადები უნდა იხურებოდეს მჭიდროდ, რათა არ მოხდეს მოძრაობისას მათი უნებლიე გაღება.

- უკანა სალონში გამოყენებული მასალები უნდა ექვემდებარებოდეს მრავალჯერად დამუშავებას სველი წესით (დეზინფექციას).

- სრულად აღჭურვილი სასწრაფო დახმარების ავტომატის ტვირთამწეობა არ უნდა იყოს 400 კგ-ზე ნაკლები.

- მიმწოდებელმა უნდა აიღოს ვალდებულება, სასწრაფო დახმარების მანქანების მიწოდების შემდეგ, მომსახურების პერიოდში მანქანების გეგმიურ და არაგეგმიურ შეკეთება/ტექნიკურ მომსახურებაზე გაავრცელებს არანაკლებ 10%-იან შეღავათს, მიმწოდებლის სერვის-ცენტრში არსებულ ტარიფებთან შედარებით. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმში. იმ შემთხვევაში თუ გარანტიის მოქმედების ვადაში რაიმე ნაწილის შეკეთება ვერ ხერხდება ქალაქ ბათუმში, მაშინ მიმწოდებელი კომპანია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ავტომატის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე და მის შეკეთებას.

მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს საქართველოში (ავტომანქანების შემოყვანის) შესაბამისი საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.

- ელექტრონულ ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. რისთვისაც გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია (ბანკის მიერ გაცემული) ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 7 თვის განმავლობაში.

- მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N4-ში. დანართი N4-ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამისი დილაკზე დაჭერით.